

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქი სამტრედია სოფელი იანეთის საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიანე დარსაველიძეს - სახით და მეორეს მხრივ შპს „იმერეთის სახანძრო დაცვა“ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა შავგულიძის სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად ვედებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის შემდეგი საქონლის მიწოდება სახანძრო ფარი კომპლექტი 1 ცალი, ცეცხლმაქრის გადამუხტვა OP-5-ის, 2 ცალი, სავაჭურავი გემა, 1 ცალი, ტრანსპორტირებით, (CPV-კოდი 35100000-საგანგებო სიტუაციებისა და უსაფრთხოების მოწყობილობები), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 სახელშეკრულებო პირობები
შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს 500 ლარს (ხუთასი ლარი)

2. მიმწოდებლის პირობები

- 2.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და მიწოდების პერიოდულობის მიხედვით.
- 2.2 ხელშეკრულების თანახმად შესყიდვის ობიექტის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია მიმწოდებლის ოფისი, მდებარე მისამართზე: სამტრედია იანეთი.
- 2.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშგაქტურა) კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი.

3. მიღება ჩაბარების წესი

- 3.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 3.2 ხელშეკრულების ობიექტის მიღებას ახორციელებს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.
- 3.3 შესყიდვის ობიექტის მიღების ადგილი განისაზღვრება მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმებით.
- 3.4 ობიექტის მიღების ან/და საბოლოოდ შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მიმწოდებელი.
- 3.5 შესყიდვის ობიექტის რაოდენობის ან წუნდების მიზეზის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ ატყობინებს მიმწოდებელს წერილობით.

4. ანგარიშწორების ფორმა და წესი

- 4.1 ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაძლო ანდარიშწორებით, მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით
- 4.2 ანგარიშწორება შემსყიდველი განხორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი ანგარიშგაქტურების და მიღება-ჩაბარების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 5.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
 - 5.1.1 შეამოწმოს მიწოდებული ობიექტის ხარისხის შესაბამისობა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- 5.2 მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ მხარეთა შორის დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთანავე.
- 5.2.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
 - 5.2.1.1 მიმწოდებლისგან მოითხოვოს უფლებრივად და ნიეთობრივად უნაკლო ობიექტის ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება;
 - 5.2.1.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;
 - 5.2.1.3 თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლივ განხორციელოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შემოწმება;
 - 5.2.1.4 მიმწოდებლისგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის გადაცემის შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
- 5.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ღირებულებით მიაწოდოს უფლებრივად და ნიეთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი;
- 5.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველს წარუდგინოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;
- 5.3.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი შესყიდვის ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა.
- 5.3.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ მიღება-ჩაბარების აქტით;

5.3.5 დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს

5.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.4.1 შემსყიდველისგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

6. უფლებების გადაცემა

6.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე შტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. შეტყობინება

9.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეზღვენება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

9.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ არ არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილების აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მხარეები ჯარიმის სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0.5%-ს, ყოველ გადაცილებულ დღეზე.

11.2 საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

11.3 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

12.1 ხელისშემშლელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

12.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაიგ, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი.

12.4 მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

13. ფორს მაჟორი

13.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური

მოვლენები აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედება ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

- 13.2 თუ სახელშეკრულება ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
- 13.3 მხარე, რომელსაც შეეძენა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავების გადაწყვეტის წესი

- 14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
- 14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

- 15.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
- 15.2 ხელშეკრულების შესრულებაზე და მიღება-ჩაბარებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი.
- 15.3 ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.
- 15.4 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის რაოდენობის, შენახვის და მიწოდების ვადების კონტროლი.

16. დასკვნითი დებულებანი

- 16.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთ პატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
- 16.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
- 16.3 მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
- 16.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
- 16.5 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.
- 16.6 ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 09 მარტი და მოქმედებს 2016 წლის 09 მაისის ჩათვლით.
- 16.7 ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული გადახდის ნაწილში ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2016 წლის-15 აპრილის ჩათვლით;
- 16.8 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

17. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი
სსიპ ქალაქი სამტრედია, იანეთის საჯარო სკოლა
საიდენტიფიკაციო კოდი 238763067
მისამართი: იანეთი
საბანკო რეკვიზიტები:
სკოლის დირექტორი :

შპს „იმერეთის სახანძრო დაცვა“
საიდენტიფიკაციო კოდი: 412702302
მისამართი: ქ.ქუთაისი, ტიციან ტაბიძის 29
საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის/ნ GE60BG000000855036300

მ. კახიძე



მ. შავგულიძე

მიღება-ჩაბარების აქტი

„ „ მარტი 2016 წ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ,

ქ სამტრედია სოფელი იანეთის საჯარო სკოლის დირექტორმა . მარინე დარსაველიძემ - ხოლო მეორეს მხრივ შპს იმერეთის სახანძრო დაცვის დირექტორმა მ. შავგულიძემ შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ მიმწოდებელმა შპს იმერეთის სახანძრო დაცვამ ნამდვილად მიაწოდა (გასწია მომსახურებითი სამუშაო) სახანძრო ფარი კომპლექტით, 1 ცალი. ცეცხლმაქრის გადამუხტვა OP-5. 2 ცალი.სავეაკუაციო გეგმა.1 ც. ტრანსპორტირებით.

ხოლო შემსყიდველმა ქ. სამტრედია სოფელი იანეთის საჯარო სკოლის დირექტორმა . - მარინე დარსაველიძემ . ნამდვილად მიიღო საჭირო საქონელი. სახანძრო ფარი კომპლექტით, 1 ცალი. ცეცხლმაქრის გადამუხტვა OP-5. 2 ცალი. სავეაკუაციო გეგმა, 1 ცალი. ტრანსპორტირებით.

საგარანტიო ვადა: პროდუქციის 10 წელი. ცეცხლმაქრობის მუხტის 1 წელი.

აქტი სწორია რაზედაც ხელს ვაწერთ:

„მიმწოდებელი“
„შპს იმერეთის
სახანძრო დაცვა“
დირექტორი:

/მ.შავგულიძე/



„შემსყიდველი“
ქ. სამტრედია სოფელი იანეთის
საჯარო სკოლის
დირექტორი:

მ. დარსაველიძე /მ. დარსაველიძე/

